

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული სპეციალობის გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ის ვებგვერდზე <https://gtu.ge/apply/tests.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია ასევე მოიპოვოს სტუ-ს სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტმა, მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის და სტუ-ის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი არანაკლებ B2 დონისა, ან უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დოკუმენტი. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში პრეტენდენტი გაივლის ტესტირებას ინგლისურ ენაში სტუ-ის ტესტირების ცენტრში.

პროგრამის მიზანია:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს გარემოს დაცვითი მართვის სისტემის და დემოკრატიული მმართველობის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების, გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტების, გარემოს დაცვისა და კონსერვაციის, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის, დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარების მიმართულებებში სიღრმისეული ცოდნით და დარგში რელევანტური კვლევის უნარებით აღჭურვილი გარემოს დაცვის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- **სიღრმისეულად აღწერს** გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემას და დემოკრატიულ მმართველობას, გარემოს დაცვის მართვის პრინციპებს, კონცეფციებს, მართვის ინსტრუმენტებს, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის, დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, საუკეთესო პრაქტიკებს და მათ ეკონომიკურ, სამართლებრივ და მენეჯერულ თავისებურებებს
- **განსაზღვრავს** გარემოს დაცვის მართვის ინსტრუმენტების ძირითად მახასიათებლებს, მათ მნიშვნელობას და გავლენის სფეროებს
- **განსაზღვრავს**, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნარჩენების რეციკლირების, განახლებადი ენერგიის და ალტერნატიული ენერგიის წყაროების მართვის, ბიომრავალფეროვნების დაცვის და კონსერვაციის, სათბურის აირების ემისიების შემცირების მენეჯმენტის სპეციფიკას და შესაბამის გეგმების და ღონისძიებების მოქმედების არეალს
- **შეიმუშავებს** მდგრადი განვითარების სტრატეგიებს, გეგმებს და პოლიტიკის დოკუმენტებს, რომლებიც მიმართულია ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის გამოწვევების აღმოფხვრისკენ
- **იყენებს** გეოინფორმაციული სისტემებს (GIS), გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტებს და მართვის სხვა მეთოდებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში არსებული გამოწვევების და მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და შეფასებისათვის მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით
- **დამოუკიდებლად წარმართავს** კვლევას გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროსთვის, კვლევის შესაბამისი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით

- **წარუდგენს** არგუმენტირებულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასკვნებსა და კვლევის შედეგებს, როგორც პროფესიულ საზოგადოებას, ისე დაინტერესებულ მხარეებს და ფართო საზოგადოებას გარემოსდაცვითი მდგრადი განათლების და ცნობიერების ამაღლების სტანდარტების დაცვით
- გარემოს დაცვის მენეჯმენტის შესაბამის მიმართულებებში არსებული კომპლექსური პრობლემების მართვის პროცესში **ხელმძღვანელობს**: ეთიკური ნორმებით, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით და გარემოსდაცვითი რეგულაციებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული მოვალეობების შესრულების მაღალ სტანდარტს
- **ორიენტირებულია** უწყვეტ განვითარებაზე როგორც საკუთარი, ასევე გუნდის წევრების პროფესიული ზრდის უზრუნველყოფის მიზნით, რაც გარემოს დაცვის სფეროში მენეჯმენტის გრძელვადიან მიზნებს განამტკიცებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება

<https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/masters.php>

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

<https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/common-rules.php>

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	მდგრადი განვითარება	6
2	საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი	5
3	გეოინფორმაციული სისტემების (GIS) გამოყენების მენეჯმენტი გარემოს მდგრადი განვითარებისათვის	5
4	მდგრადი ბიოეკონომიკა	4
5	კლიმატი და გარემოს მდგრადი განვითარება	5
6	გარემოს დაცვითი ინჟინერია	5
7	გარემოს დაცვის კვლევის მეთოდები	6
8	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	5
9	მწვანე ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება	5

10	ცირკულარული ეკონომიკა	5
11	განახლებადი ენერგიების წყაროების მდგრადი მართვა კლიმატის ცვლილებების ზეგავლენის პირობებში	4
12	გარემოსდაცვითი ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება, აუდიტი და მონიტორინგი	5
13	კორპორაციული ფინანსები	5
14	საქართველოს ინტეგრალური რესურსები	4
15	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	5
16	პრაქტიკა „გარემოს მდგრადი განვითარების მენეჯმენტ“-ში	6
17	გლობალური ეკონომიკა	5
18	ინოვაციური მენეჯმენტი	5
19	ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა	5
20	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი	5
21	ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტები და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები	5
22	საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასება	5
23	ხელოვნური ინტელექტი და დიდი მონაცემები გარემოს დაცვისთვის	5
24	რისკის მართვა და ანტიკრიზისული მენეჯმენტი	5
25	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	30